ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#7

25 აგვისტო 2020 წელი

12.30სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გვანცა გრძელიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაკა მესხი
გურამი კიკნაველიძე
ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხს. კახა გოგნაძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ.

   მომხს. გვანცა გრძელიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა: კახა გოგნაძემ

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. მიიღო ინფორმაციის სახით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ.

კომისიის წევრი: მაკა მესხმა კითხვით მიმართა გვანცა გრძელიძეს გარე განათების ელექტრო ბოძებზე თუ შეიძლება პლაკატების გაკვრა

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძემ უპასუხა მაკა მესხს, რომ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ გარე განათების ელექტრო ბოძებზე შეიძლება და არა რომელი კომპანიის საკუთრებაზე

კომისიის წევრი: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა გვანცა გრძელიძეს, თუ არის პლაკატების გაკვრისა და ჩამოხსნის ვადები მითითებული

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ მხოლოდ პლაკატის ჩამოხსნის ვადა არის მითითებული არჩევნების დასრულებიდან 15 დღის ვადაში უნდა მოხდეს, ხოლო წინასაარჩევნო აგიტაციის დაწყების ვადა განსაზღვრულია საარჩევნო კოდექსით

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების

გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ. საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ. საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 4 **წინააღმდეგი: 0**

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძე